საიდ. N 79627/03

IR 904764

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №14-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი, ი. გიქორაშვილი, უ. ოშხნელი გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „ცოტ სე & კო. კგ“ (Zott SE & Co. KG) N14-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 19 ოქტომბრის N3152/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „MONTE“ (საიდ. N79627/03, IR 904764) დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (29-ე და 30-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 19 ოქტომბრის N3152/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს ,,MONTE“ უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან მსგავსია კომპანიის „დელ მონტე ფუდზ, ინკ.“ (Del Monte Foods, Inc.) სახელზე 29-ე და 30-ე კლასების მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „DEL MONTE“ (რეგ. N8489, რეგ. თარიღი 1998-03-02). დაპირისპირებული ნიშნები წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს, ვინაიდან, მათ შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ისე სემანტიკური და ფონეტიკური მსგავსება. რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანში დომინანტი ელემენტია ,,MONTE“, ვინაიდან აღნიშვნა ,,DEL“ იტალიურ ენაზე წარმოადგენს არტიკლს და არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას, შესაბამისად, იგი ნიშანს ვერ სძენს განმასხვავებლობას. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, ვინაიდან, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „DEL MONTE“, მთლიანად მოიცავს სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის სიტყვიერ ელემენტს „MONTE“. ამასთან, განცხადებული ნიშანი, რეგისტრირებული ნიშნის მსგავსად შესრულებულია ლათინური ასოებით. დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „დელ მონტე“, ხოლო სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი, როგორც „მონტე“. ნიშნები ასევე მსგავსია სემანტიკურად, ვინაიდან, ორივე მათგანი ქართულად ითარგმნება როგორც „მთა“.

აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში 29-ე და 30-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ცოტ სე & კო. კგ“ (Zott SE & Co. KG) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის აზრით, შესაძლებელია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების თანაარსებობა სამომხმარებლო ბაზარზე. აპელანტმა სააპელაციო პალატის კოლეგიას წარმოუდგინა კომპანიის „დელ მონტე ფუდზ, ინკ.“ (Del Monte Foods, Inc.) მიერ გაცემული თანხმობის წერილი, რომლის თანახმად, კომპანია არ არის წინააღმდეგი, რომ კომპანიის „ცოტ სე & კო. კგ“ (Zott SE & Co. KG) სახელზე საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „MONTE“ (საიდ. N79627/03, IR 904764) მიენიჭოს დაცვა 29-ე და 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ამასთან, აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები რეგისტრირებულია ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთების უწყების რეესტრში და ისინი თანაარსებობენ ევროკავშირის ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე, შესაბამისად, შესაძლებელია მათი თანაარსებობა საქართველოშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 19 ოქტომბრის N3152/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „MONTE“ (საიდ. N79627/03, IR 904764) დაცვის მინიჭებას საქართველოში 29-ე და 30-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ N14-03/16 სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო

ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.“

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „MONTE“ (საიდ. N79627/03, IR 904764) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „DEL MONTE“ (რეგ. N8489, რეგ. თარიღი 1998-03-02) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. იდენტურია, განცხადებული სასაქონლო ნიშანი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვიერი ელემენტი - „MONTE“. მათ შორის განხვავებას წარმოადგენს მხოლოდ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში არსებული დამატებითი აღნიშვნა - „DEL“, რომელიც ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც - „მონტე“, ხოლო დაპირისპირებული - როგორც „დელ მონტე“.

ნიშნები მსგავსია ასევე, სემანტიკურად. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „MONTE“ ესპანურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „მთა“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „DEL MONTE“, როგორც „მთიდან“.

მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების 29-ე და 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის 29-ე და 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის 29-ე და 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5

მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნისთვის „MONTE“ (საიდ. N79627/03, IR 904764) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალურის საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ცოტ სე & კო. კგ“ (Zott SE & Co. KG) N14-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 19 ოქტომბრის N3152/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ი. გიქორაშვილი

უ. ოშხნელი